პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 29 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 68 (756) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მეტი ყურადღება ლენინის კუთხეებს.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ხშირად ვღებულობთ წერილებს ნაწილებიდან იმის შესახებ, რომ ლენინის კუთხეები ვერ არიან რიგიანად მოწყობილი, რომ მათ არ ექცევათ სათანადო ყურადღება, და ზოგ შემთხვევაშიც არავითარი მუშაობა მათში არ სწარმოებს. აგრეთვე ხშირად ესაყვედურებიან ლენკუთხის გამგესაც და უკმაყოფილონი არიან მისი უმოქმედობით და გულგრილობით თავის ვალდებულებისადმი. ყოველივე ეს, რასაკვირველია, გვაიძულებს ჩვენ კვლავ წამოვაყენოთ საკითხი ლენინის კუთხეების სათანადო მოწყობის და მათში მუშაობის გაცხოველების შესახებ. ლენინის კუთხე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ის სავსებით შეეფერებოდეს თავის მაღალ სახელწოდებას.

ლენინის კუთხეში წითელ არმიელები პირველად ეზიარებიან დიდი ბელადის იდეებს და ანდერძებს. ლენინის კუთხე აგრეთვე წითელ-არმიელთა ფართე თვითმოქმედების ადგილი უნდა შეიქმნეს. აქ უნდა იკითხებოდეს ლენინის პოპულიარული წიგნები, მისი სიტყვების გარჩევა, ხმამაღალი კოლექტიური კითხვა და სხვა.

თვით კუთხე უნდა იყოს მოწყობილი შესაფერი ლოზუნგებით, პლაკატებით, ლენინის სურათებით. აქ უნდა იყოს აგრეთვე ყველა მისი პოპულიარული ნაწარმოებები. ლენინის კუთხე უნდა შეიქნეს იმ კერათ, სადაც მეცადინეობისაგან თავისუფალ წუთებში წითელ-არმიელს შეეძლოს გააფართოვოს თავისი პოლიტიკური და საერთო ცოდნა.

ამიტომაც საჭიროა, რომ ლენინის კუთხეებს ღირსეული ხელმძღვანელები ყავდეს. მაგრამ ეს არაა საკმარისი. ლენინის კუთხეების მუშაობის გაცხოველება შეიძლება იმ პირობით, თუ მასში აქტიურად ჩაებმებიან თვით წითელ-არმიელები. საჭიროა უფრო მოწინავე, ლენინის კუთხეში მომუშავე მოწინავე წითელ-არმიელებმა მიიზიდონ თავის ჩამორჩენილი ამხანაგები. თვითეულ წითელ-არმიელს უნდა აინტერესებდეს ლენინის კუთხეში მუშაობა, თვით ისინი უნდა ზრუნავდენ მის გაუმჯობესებაზე.

აი სწორედ მაშინ დადგება თავის მოწოდების სიმაღლეზე ლენინის კუთხე.

ეს კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

გააუმჯობესეთ ლენინის კუთხეები, გააცხოველეთ მათში მუშაობა.

## მუშათა მთლიანი ფრონტი მიღწეული იქნება.

ლონდონში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების დელეგაცია ამხ. ტომსკის მეთაურობით ინგლის-საბჭოთა პროფესიონალურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. ამ კონფერენციის მნიშვნელობა მეტად დიდია. მის ნაყოფიერობისაგან დამოკიდებულია საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნის საქმე. მთლიანი ფრონტის იდეა შეიქმნა მუშათა კლასის მორიგ პრაქტიკულ ამოცანად. მას შემდეგ რაც დამარცხდა მთელი რიგი პროლეტარული რევოლიუციებისა ევროპაში და კაპიტალი გადავიდა შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის წინაშე მწვავედ დაისვა კითხვა თავისი რიგების გაერთიანებისა საერთაშორისო მასშტაბით.

შეტევაზე გადასულ კაპიტალს პროლეტარიატმა უნდა დაუპირდაპიროს თავისი ძალების ფოლადი რიგები. მაგრამ ამ საქმეს ხელს უშლის ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალები. გამყიდველი სოციალ-დემოკრატია, რომელიც მოკალათებულია ამსტერდამის გაერთიანებაში ყოველივე საშუალებას მიმართავს აცდინოს რევოლიუციონურ ბრძოლის გზას მუშათა მასები და მით ხელი შეუწყოს ბურჟუაზიის ძალა-უფლების განმტკიცებას.

ამიტომ ის სასტიკი წინააღმდეგია მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნისა. რამდენჯერ სცადა წითელ პროფკავშირებმა გამოენახა მათთან საერთო ენა ერთიანი ფრონტის ლოზუნგის საფუძვლებზე, მაგრამ უნაყოფოთ. ამსტერდამის გამცემლობა არ დარჩა შეუმჩნეველი კაპიტალისტურ ქვეყნების მუშებისათვის. იმ დროს, როცა ისინი განიცდიან ბურჟუაზიული მონობის და გაყვლეფის სიმძიმეს, ყვითელი პროფესიონალური ბიუროკრატია არავითარ ზომებს არ მიმართავს მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ლალატობს მათ. ამიტომაც მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმე დაიწყო ქვევიდან—მასების ზეგავლენის ქვეშ.

ამის პირველი მაგალითი მოგვცა ინგლისმა. ინგლისში განვითარდა ეგრედ წოდებული უმცირესობათა მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ასეთი გამოჩენილი მუშათა მოღვაწეები, როგორც პერსელი, კუკი, ბრამლია და სხვები. საერთოდ მთლიანი ფრონტის შექმნის მომხრეა ინგლისის მთელი პროფესიონალური მოძრაობა. ამას წინად ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლებმა დასვეს ამსტერდამში მუშათა რიგების გაერთიანება პროფესიონალურ მოძრაობის ხაზით, მაგრამ ამსტერდამელებმა ჩვეულებრივად კვლავ ჩაფუშეს ეს. მიუხედავათ ამისა ინგლისის პროფკავშირებმა მაინც არ გააგდენ ხელიდან ეს საქმე და უფრო ენერგიულად შეუდგენ მის განხორციელებას უკვე ამსტერდამის გარეშე და საბჭოთა პროფკავშირებთან ერთად. ზემო ხსენებული კონფერენციაც არის ამ მიზნით მოწვეული. მან მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს მუშათა პროფმოძრაობის გაერთიანებას საერთაშორისო მასშტაბში და მით სინამდვილეთ აქციოს მუშათა მთლიანი ფრონტის იდეა. უკვე ის გარემოება, რომ კონფერენცია იკრიბება ამსტერდამის გარეშე—მორიგი ლახვარია გამყიდველ ამსტერდამისათვის. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კონფერენცია მიაღწევს დასახულ მიზანს და კვლავ გააერთიანებს საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებს, რომელიც თავის გამცემლობით და გამყიდველობით დაარღვიეს ყვითელ ინტერნაციონალებმა.

მუშათა მთლიანი ფრონტი მიღწეული იქნება, მიუხედავათ მისი მტრების ყოველგვარ ცდებისა ხელი შეუშალონ მას.

ვინაიდან ამას მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვების ინტერესები.

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

## საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის გამგზავრება საზღვარ გარედ.

27 მარტს უცხოეთში გაემგზავრა პროფკავშირთა დელეგაცია ბრიტანეთის პროფკავშირთა კონგრესის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციას მეთაურობს ამხ. ტომსკი.

დელეგაცია დიდის ზეიმით გააცილეს მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა დელეგატებმა.

გაცილების ხანს ამხ. ტომსკიმ განაცხადა: „ინგლისის 6 მილიონი შეკავშირებული მუშა და საბჭოთა კავშირის 6 ნახ. მილიონი შეკავშირებული მუშა შესძლებენ ერთად მიაღწიონ მუშათა კლასის გაერთიანებას მთელ დედამიწის ზურგზე“.

## საუბარი ამხ. ტომსკისთან.

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს, მომავალს საბჭოთა—ინგლისის პროფკავშირთა კონფერენციის შესახებ ამხ. ტომსკიმ განაცხადა: „კონფერენციას კოლოსალური მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემდეგი მიმართულებისათვის. ამ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს ორი სხვა და სხვა ინტერნაციონალების ყველაზე უფრო ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაციები: ერთის მხრივ ამსტერდამის ინტერნაციონალის უძლიერესი პროფორგანიზაცია, და მეორეს მხრივ კი პროფინტერნის ასეთივე პროფორგანიზაცია, ერთი საერთო გაერთიანების იდეიით გამსჭვალულნი, გამოსძებნიან საერთო ენას მათ წინაშე მდგარ საკითხების სწორად გადაჭრაში, რომელსაც საფუძვლად დაედება საერთაშორისო მუშათა ეკონომიური ბრძოლის ინტერესები.“

## საჭიროა მუშათა ერთიანი ფრონტი.

სამთო-მადნო მუშათა კავშირის მდივანი კუკი შრომის ხელფასის კანონ-პროექტის წინააღმდეგ წავიდა და განაცხადა, რომ ეს კანონ-პროექტი არ შეუწყობს ხელს „მშვიდობიანობის განმტკიცებას მრეწველობაში“: კონსერვატორებმა აშკარად დაამტკიცეს, რომ აუცილებელია მუშათა ერთიანი ფრონტი, ურომლისოდაც სამთო-მადნო მუშები ვერას დროს ვერ მოიპოვებენ დამაკმაყოფილებელ სამუშაო ხელფასს.

## ამხ. პერსელი მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრია.

მოსკოვის საბჭოს ამომრჩეველმა კომისიამ გადასცა ინგლისში მიმავალ ტომსკის პერსელზე გადასაცემად მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრობის ბარათი.

პერსელი არჩეულია მოსკოვის მუშების მიერ საბჭოს საპატიო წევრად.

## მოჯამაგირე იღვიძებს.

30 მარტისთვის პოლონეთის რამოდენიმე ოლქში დანიშნულია სასოფლო—სამეურნეო მუშათა გაფიცვები. სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის გამგეობამ გააფრთხილა მთავრობა, რომ გაფიცვები გავრცელდება მთელ სახელმწიფოში, თუ რომ გაფიცულების წინაღმდეგ ძალადობას იხმარებ ან დაითხოვენ მათ სამუშაოდან.

## კომინტერნის აღმასკომის მისალმება ამხ. ლანცუცკისადმი.

კომინტერნის აღმასკომმა გაუგზავნა პოლონეთის კომპარტიას და ლანცუცკის სალამი, უკანასკნელის გამართლების გამო. იმავ დროს აღმასკომი აცხადებს პროტესტს ამხ. ლანცუცკის ციხეში გაჩერების წინააღმდეგ, მოითხოვს მის განთავისუფლებას და მოუწოდებს პოლონეთის პროლეტარიატს და ყველა კომუნისტურ პარტიებს განაგრძონ აგიტაცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში და მთელ ქვეყნებში.

## ინგლისის თემთა პალატამ უარყო კანონ პროექტი სამუშაო ხელფასის შესახებ.

ინგლისის მუშათა პარტიის დეპუტატმა უოლშიმა, სამუშაო ხელფასის კანონპროექტის კითხვის დროს პალატაში განაცხადა, რომ სამთომადნო მუშათა ხელფასი მეტად დაეცა, ის აღარ ყოფნის მუშას საარსებოთ, რის უფლებაც აქვს ყოველ მათგანსო. უოლშმა აღნიშნა, რომ „მშვიდობიანობა მრეწველობაში,“ რომლისკენაც მოუწოდებდა ბალდუინი, შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა მდგომარეობა უზრუნველყოფილი იქნება.

პალატამ ხმის დიდი უმეტესობით უარყო კანონპროექტი.

## მუშემბა იციან თუ ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული კრეისერები.

რეიტერის სააგენტო იუწყება მელბურნიდან:

„ავსტრალიის მუშები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ახალი კრეისერების აგების წინააღმდეგ, რომელიც დაუკვეთა ინგლისს ავსტრალიის მთავრობამ“.

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს ყველა წევრთა საყურადღებოთ

ცხადდება, რომ 26 მარტიდან იწყება დროებითი მანდატების მუდმივი მანდატებზე შეცვლა და საბჭოს სექციებში ჩაწერა.

მანდატების მიღება და სექციებში ჩაწერის წესი, როგორც საბჭოს წევრებისთვის, აგრეთვე საქარხნო საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებისა, ლენინელთა ახალგაზრდა კომკავშირის საქართველოში, მ/გ ინსპექციის, ქალთა განყოფილებისა და და სხვა მშრომელთა (იხ. დებულება) წარმომადგენელთათვის შემდეგია:

**საბჭოს წევრების და წარმომადგენლებისათვის**

**I რაიონიდან.**

**26 და 27 მარტს.**

**მე-2 რე რაიონიდან.**

**20 და 30 მარტს.**

**მე-3-მე რაიონიდან.**

**31 მარტს და 1 აპრილს.**

**მე-4-ხე რაიონიდან.**

**2 და 3 აპრილს.**

საბჭოს წევრებს მანდადატები მიეცემათ ალმასკომის პრეზიდიუმის კანცელარიაში (ოთახი № 4) ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერა.

**სექციებში ჩაწერა ყველა წევრთათვის სავალდებულოა.**

**ალმასკომის პრეზიდიუმი.**

## ამერიკა დაინტერესებულია აღმოსავლეთით.

ამერიკის ყურადღებას თანდათან იპყრობს იაპონია—საბჭოთა და ჩინეთ—საბჭოთა ურთიერთობა.

ეს იმიტომ, რომ ამერიკა ეკონომიურად არის დაინტერესებული აღმოსავლეთში.

იაპონია—საბჭოთა ხელშეკრულების დადებიდან ბორა და მისი მომხრეები არა ერთხელ აღნიშნავდენ, რომ შორეულ—აღმოსავლეთის სადაო საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობა.

## საბჭოთა კავშირის მესამე საბჭოთა ყრილობის დღის წესრიგი.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი საბჭოთა კავშირის მესამე საბჭოთა ყრილობისა, რომელიც მოწვეულია 1925 წლის 8 მაისს: 1. თურქულ და უზბეკთა რესპუბლიკების შესვლის შესახებ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში; 2. საბჭოთა კავშირის მთავრობის ანგარიში; 3. საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობა; 4. ღონისძიებანი საგლეხო მეურნეობის გაძლიერებისა და გამტკიცებისათვის (სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, კუსტართა (ხელოსანთა) მდგომარეობა, მიწათ-მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვა); 5. საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები 6. საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარის მოხსენება; 7. მოხსენება წითელი არმიის შესახებ; 8. საკავშირო ცაკის შედგენა, საკავშირო საბჭოს წევრთა არჩევნები, ეროვნულ აბჭოს წევრთა დამტკიცება.

## ცაკის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ცაკის სესიის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს განდევილება ყოფილ მემამულეთა უფლების ჩამორთმევაზე—შრომით სარგებლობისა და ოქტომბრის რევოლიუციამდი მათ კუთვნილ მამულებში ცხოვრების შესახებ.

## ფინეთის ჯაშუშების გასამართლება.

ლენინგრადის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ფინეთის ჯაშუშების გასამართლება. პასუხის გებაში მიცემულია 10 კაცი. ამათ შორის უმეტესობა ძველი არმიის ოფიცრებია. მათი მეთაური არის ვინმე ლესკევიჩი, რომელსაც საჯაშუშო მუშაობისათვის მიუღია 2.000 მანეთამდი ოქროთი.

სასამართლომ ჯერ-ჯერობით დაჰკითხა მხოლოდ ლესკევიჩს.

## აბხაზეთის საბჭოთა ყრილობის გახსნა.

გაიხსნა აბხაზეთის მესამე საბჭოთა ყრილობა. პირველი სხდომა მიძღვნილ იქნა ამხ. ნარიმანოვისა და ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეგოვის ხსოვნისადმი. მიღებულ იქნა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

სხდომის დასასრულ შესრულებულ იქნა ცოცხალი გაზეთის—„ლურჯი ხალათი“-ს („სინიაია ბლუზა“) ნომერი.

ყრილობას დაესწრო 200 დელეგატი.

## ახლოს, გლეხთა მასებთან.

ცაკის სასოფლო საბჭოების და თემის აღმასკომების კომისიამ, საბჭოთა აღმშენებლობის მომავალ თათბირისათვის, გამოიმუშავა წინადადება თემის აღმასკომების და სოფლის საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## სამხედრო საქმე

## შეინახე სამხედრო საიდუმლო.

უკანასკნელ დროს ჩვენ ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში ჯაშუშების გასამართლების შესახებ.

ეს მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი მტერი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რათა შეისწავლოს ჩვენი ავან-ჩავანი, ჩვენი ყოველი ნაბიჯი სამხედრო საქმეში.

მას ჰყავს აუარება ჯაშუშები და დიდძალ ფულს ხარჯავს მათ შენახვაზე. ეს ჯაშუშები მეტად ძვირფას ცნობებს აწვდიან მათ ჩვენ შესახებ.

ამისათვის ჩვენ სასტიკად უნდა შევინახოთ სამხედრო საიდუმლო.

რა არის სამხედრო საიდუმლო?

ყველაფერი,—რაც კი გვეხება ჩვენ და ჩვენს არმიას—მის ორგანიზაციას, სამობილიზაციო მზადებას, იარაღის მდგომარეობასა და რაოდენობას, საბარგულეებს, ჩვენს ჩაცმას, კვებასა და საჭურველს, ჩვენი ჯარებისა და მოსახლეობის განწყობილებას, ჩვენი კავშირის მატერიალურ (ნივთიერ) მდგომარეობას, ჩვენი ქარხნების განსაკუთრებით სამხედრო და ქიმიურ ქარხნების ნაყოფიერებას და სხვა,—ყველაფერი ეს სამხედრო საიდუმლოა.

ხშირად, პირველ შეხედვით უმნიშვნელო ცნობაც კი მნიშვნელოვანია მტრისათვის. წვრილმან და უმნიშვნელო ცნობებზე მას შეუძლია შეადგინოს საერთო წარმოდგენა ნაწილის საბრძოლო მზად ყოფნის შესახებ.

უნდა შევეძლოს საიდუმლოს შენახვა; უნდა შეგვეძლოს „დავატიოთ ენა პირში“.

ხშირად ხდება, რომ ლაპარაკის მოყვარული კაცი კერძო საუბარში თავის შეუმჩნევლად გაამჟღავნებს საიდუმლოს. ამხანაგების კამათი ქუჩაში, ვაგონში, ბაზარში ან და სამხედრო მომუშავეთა შინაური ლაპარაკი, ხშირად მეტად ძვირფას ცნობას აძლევს გამოცდილ ჯაშუშს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კედლებსაც ყურები აქვს“.

აი რატომაა სიფრთხილე საჭირო სამხედრო საქმეზე ლაპარაკის დროს, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც თავს იყრიან ადამიანები.

თუ ვინმემ შემთხვევით იცის რაიმე სამხედრო საიდუმლო, მან ანაგებ ამის შესახებ არავის არ უნდა უთხრას, თვით თავის ახლო მეგობარსაც კი: **„ორმა თუ იცის, ღორმაც კი იცის“.**

სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნებით ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი მტრის გამარჯვებას, ხოლო ჩვენ თავს შევამთხვევთ მრავალ უბედურებას.

ამ რიგად, ენა—ჭარტალა იგივე ჯაშუშია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ემსახურება მტერს არა ფულისთვის, არამედ სისულელის გამო.

ვინც საიდუმლოს ამჟღავნებს ნებსით თუ უნებლიეთ, ის გამცემელი და მოღალატეა.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნებისთვის გაანზრახ იქნება ეს თუ არა, დამნაშავე ისჯება განსაკუთრებული კანონის თანახმად.

„კრ. ვ.“

დეფექტების თავიდან ასაცილებლად აღნიშნულია ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელიც უნდა იქნას გატარებული აღნიშნულ აღმასკომებისა და საბჭოების ცხოვრებაში.

## რევოლიუციონური ჩინეთი და სუნ-იატ-სენი.

12 მარტს ქალაქ პეკინში (ჩინეთის დედა ქალაქია) გარდაიცვალა უდიდესი და უხნესი რევოლიუციონერი, ჩინეთის მუშებისა და გლეხების ხელმძღვანელი, ჩინეთის ხალხის სიამაყე სუნ-იატ-სენი.

ამ ადამიანის სიკვდილმა დაამწუხრა და დააგლოვა მილიონი მშრომელი მასები, როგორც დასავლეთის, ისე მთელი აღმოსავლეთის დაჩაგრული ერებისა. მის სიკვდილს გლოვობს ოთხასი მილიონიანი ჩინეთის მშრომელი გლეხკაცობა, მუშები და ინტელიგენცია. განსაკუთრებით ამ უდიდეს დაკარგვას მწუხარებით და თანაგრძნობის ნიშნით გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები. სამგლოვიარო დემონსტრაციები, მიტინგები და დემონსტრაციები მიძღვნილი სუნ-იატ-სენის ხსოვნისადმი ჩატარდა საბჭოთა რესპუბლიკების მთელი მაშტაბით.

სუნ-იატ-სენის უდიდესი მასწავლებელი იყო ამხ. ლენინი, თუმცა უფრო მოხუცებულმა, მოწაფემ სუნ-იატ-სენმა დაგვიანებით შეითვისა მშრომელთა მასების ბელადის პროგრამა და დირექტივები აღმოსავლეთის მშრომელ მასების ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

ამიტომ იყო და არის საბჭოთა კავშირი უდიდესი მეგობარი სუნ-იატ-სენისა, ჩინეთის მშრომელებისა, რომ სუნ-იატ-სენის პიროვნება, მისი სასტიკი ბრძოლა ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმისა მისი გაუტეხელი ბრძოლა საკუთარ, პირსისხლიან ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ნათელი გახდეს ჩვენთვის, აუცილებლათ საჭიროა მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ ჩინეთის ხალხის, ამ ოდესღაც დიდი კულტურის მქონე ქვეყნის დაცემის და დამონავების ისტორია, იმ ყოვლათ უმგვანო და საშინელი პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდენ მის მიმართ დასავლეთ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოები.

**როგორ დაიპყრეს დასავლეთ-იმპერიალისტებმა ჩინეთი.**

მას შემდეგ, რაც კი ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტური წესი წარმოებისა განვითარდა, მას შემდეგ, რაც ამ სახელმწიფოებში თავი მოიყარა მრავლათ დამზადებულმა საქონელმა, მათ წინაშე (კაპიტალისტური სახელმწ.) დაისვა საკითხი დამზადებულ საქონლის საკუთარ სახელმწიფოს გარეთ გაყიდვის შესახებ ე. ი. მსოფლიო ბაზრის მოპოების, ჩამორჩენით ხალხების დაპყრობის და მათი კოლონიებათ გადაქცევის; რომ იქ, დამზადებული საქონელი რაც შეიძლება დიდ ფასებში გაყიდონ ერთი მხრივ, და იქიდან (კოლონიებიდან) გამოეზიდათ ნედლი მასალა საკუთარ ფაბრიკა და ქარხნებში დასამზადებლათ და საქონლათ გადასაქცევათ.

ამ მხრივ მდიდარი ჩინეთი თავისი ნედლი მასალით და ოთხას მილიონიან მცხოვრებლებით ევროპისა და კერძოთ ინგლისის ბურჟუაზიისათვის წარმოადგენდა საგრძნობ ლუკმას იმ ქვეყნის, სადაც მათ შეეძლოთ ერთი ათასათ გამდიდრებულიყვნენ და ერთხელ და სამუდამოთ გაემტკიცებინათ მათ თავიანთი ძალა უფლება ჩინეთში და საერთოთ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს, ე. ი. ოთხას მილიონიან ხალხის დაპყრობა ხდებოდა არა ნებაყოფლობით, არა მოლაპარაკებით არამედ მეიარაღებული ძალით ხელში, კრეისერებით და ზარბაზნებით. ამ უტიფარ დაპყრობითი პოლიტიკას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია თავის მისიათ (მოწოდებათ) სთვლიდა. ვინაიდან მას ჩამორჩენილსა და ყრუ აღმოსავლეთში თითქოს შექონდა კულტურა, შექონდა განათლება. აი სწორედ ეს „განმანათლებელნი“ ეს მტაცებელნი მილიონებით იწირავდენ ჩინეთის მუშებსა და გლეხებს, ახრჩობდენ მათ საკუთარ სისხლშივე და ცეცხლით და მახვილით იმორჩილებდენ.

ევროპის ბურჟუაზიას მე-19 საუკუნეში მიემატა ამერიკის და იაპონიის ბურჟუაზია. ისინი საშივე ერთად განაგრძობენ ცეცხლითა და მახვილით დამორჩილებას აღმოსავლეთის ხალხებისათვის მტაცებლურ ინტერესებისათვის და რამდენათ დრო მიდიოდა, რამდენათ ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია მდიდრდებოდა, იმდენათ მეტათ მიისწრაფოდა კაპიტალი აღმოსავლეთის ქვეყნებში, იმდენათ უფრო მეტი სასტიკი ხასიათი ქონდა მის შემოტევას ერთის-მხრით, და თავდაცვას აღმოსავლეთის ხალხების მეორე მხრით დღეს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლამ მიაღწია უმწვერვალეს წერტილს. თუ დღემდე ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია, დღეს აღმოსავლეთის ხალხები ბრძოლის და განვითარების იმ დონეზე სდგანან როდესაც მათ შეუძლიათ ერთხელ და სამუდამოთ მოიცილონ თავიდან ეს საშინელი მტაცებელნი და მით დაამხონ მათი ბატონობა არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში, თავიანთ საკუთარ სახელმწიფოებში, ევროპასა და ამერიკაში.

**რას უქადის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ბაზრების დაკარგვა.**

და მართლაც თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს გამოეცალათ ხელიდან აღმოსავლეთის ქვეყნები ეს მათი კოლონიები, მათი უდიდესი ბაზარი აშკარაა რომ ეს მათ დიდ საფრთხეს უმზადებს.

თუ მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზიამ ვერ გამოიტანა ჩინეთსა და ინდოეთიდან ნედლი მასალა, რომელიც მის ფაბრიკა-ქარხნებისთვის აუცილებელია, რომელიც შიგ ინგლისში არ მოიპოვება, აშკარაა, ინგლისის ფაბრიკა ქარხნები უნდა დაიკეტოს.

თუმცა ინგლისის ბურჟუაზიამ შეიძინოს საჭირო ნედლი მასალა ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის, (რაც მისთვის ყოვლათ მოუხერხებელია, ვინაიდან ნედლი მასალა, როგორც ზევით ვსთქვით, შიგ ინგლისში არ მოეპოება) ის ვერ შესძლებს მილიონობით დამზადებული საქონლის გაყიდვას, თვით ინგლისში თუ გინდ ევროპაში; მან აუცილებლათ ეს მყიდველი უნდა მოსძებნოს, იქ, სადაც წარმოება, ფაბრიკა-ქარხნები არ არის განვითარებული, იქ, სადაც საქონელი არ მზადდება.

ასეთი ქვეყნებია, საერთოდ, აღმოსავლეთი: ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთი, ეგვიპტე, სპარსეთი, ოსმალეთი და სხვა. აი აქ ევროპის ამერიკის ბურჟუაზიამ უნდა გაყიდოს თავის საქონელი, წ. ნააღმდეგ შემთხვევაში მას ეს საქონელი გაუყიდველი დარჩება. თუ მან (ბურჟუაზიამ) ამა თუ იმ წელს დამზადებული საქონელი ვერ გაასაღა, ვერ გაყიდა, მას არ შეუძლია მეორე წელს კვლავ დაამზადოს საქონელი, ვინაიდან მყიდველი ამ შემთხვევაშიდაც არ ეყოლება. ამ გვარათ, ევროპისა თუ ამერიკის კაპიტალისტები იძულებული ხდებიან წარმოება შეამცირონ, ფაბრიკა-ქარხნები დაკეტონ და ქუჩაში გამოყარონ ათასობით და ათიათასობით მუშები. აქციონ ისინი უკუმაპურო ადამიანებათ.

რას უქადის ბურჟუაზიას ასეთი მდგომარეობა?

(გაგრძელება იქნება)

ა. კვირიკაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედის სამი თვის მუშაობის მოკლე ანგარიში.

(დეკემბერი—მარტი),

სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში ამჟამად ირიცხება 45 პარტიის წევრები და 17 პარტკანდიდატები.

ბიუროში შედის 3 წევრი მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 10 სხდომა, სადაც გაირჩა 30 სხვა და სხვა საჭირბოროტო და ასეთი საკითხები რომლებიც უნდა დასმულიყო კომუჯრედის სხდომებზე. ბიურო ამასთანავე ანაწილებდა მოხსენებებს ყურადღებას აქცევდა, რომ ყველა წევრები ჩაბმულიყვნენ აქტიურ მუშაობაში და სხვა.

კომუჯრედს ჰქონდა 10 სხდომა, აქედან დახურული 2, ღია 8. გაირჩა სულ 40 საკითხი.

კომუჯრედი აწარმოებდა მუშაობას წინასწარ შემუშავებულ გეგმით, რომელიც გამოიხატა შემდეგში: დაარსდა სკოლასთან პოლიტიკურ ცოდნათა წრე, რომელიც აწარმოებდა მუშაობას უპარტიო ამხანაგებთა შორის. წრეს ხელმძღვანელობდნენ პარტიული ამხანაგები; მეცადინეობა სწარმოებდა კვირაში ორჯერ. კომუჯრედმა დაიჭირა კავშირი 1 ლეგიონთან, მეთაურთა სკოლასთან, მეექვსე ლეგიონთან ცენტრ. პარტსკოლასთან, და მე-3 რაიკომის № 2 კომუჯრედთან. კავშირი უმთავრესად გამოიხატა იმაში, რომ ამ ნაწილებთან და ორგანიზაციებთან მიმაგრებულნი იყვნენ ამხანაგები, რომელნიც ეცნობოდნენ მათ მუშაობას და შემდეგ თავის მხრივ აცნობდნენ მათ ჩვენს საქმიანობას.

კავშირი გვქონდა აგრეთვე საშეფო სოფელი ცოცხნართან. ყოველი კამპანიის ჩატარების დროს ამ სოფელში იგზავნებოდა და ეხლაც იგზავნება მომხსენებელი. აგრეთვე რეგულიარულად ვაწვდით ჟურნალ-გაზეთებს და ვუწევთ ყოველ-გვარ დახმარებას.

კომუჯრედის თაოსნობით დაარსებულ იქნა: 1) ქიმეგობრის საზოგადოება, 1) რემედასი და 3) საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. თითეულ მათგანს სკოლაში აქვს თავისი კუთხე. წევრებათ ითვლებიან მთელი სკოლის შემადგენლობა.

კომუჯრედი დიდ ყურადღებას აქცევს სკოლის გარეშე განათლების დარგში მუშაობის ნორმალურად მსვლელობას, და ღებულობს საჭირო ზომებს რათა ამ მუშაობაში ჩააბას კურსანტების მთელ შემადგენლობა.

ამ მიზნით, გარდა საერთო ხელმძღვანელობისა, სკოლის გარეშე განათლების სხვა და სხვა დარგის მომუშავენი კომუჯრედის სხდომებზე აკეთებენ მოხსენებებს თავის მუშაობის ირგვლივ.

კომუჯრედს ჰყავს პარტკორი და აქვს თავისი კედლის გაზეთი.

პარტკორი ე. ხუციშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის ჩვენც დავირაზმეთ.

2-რე ქართულ დივიზიის შტაბის პოლიტგანყოფილებაში დღემდე არ არსებობდა ახალგაზრდათა კომკავშირელების უჯრედი. ძლიერ ცოტანი ვიყავით და მთავარი დაბრკოლებათ ეს გვეღობებოდა წინ. ამ ჟამად ეს დაბრკოლება გადალახულია.

ქუთაისიდან ჩამოვიდენ ზოგიერთი ამხანაგები და ამნაირად შეგროვდა კომკავშირელთა საკმაო რიცხვი.

24 მარტს შტაბის და პოლიტგანყოფილების წითელ-არმიელებმა დავაარსეთ კომკავშირელთა უჯრედი.

ჯერ-ჯერობით უჯრედში ირიცხება 7 წითელ-არმიელი კომკავშირის წევრები. არიან უჯრედში მეკადინეობის მსურველი ამხანაგებიც. ჩვენი საკუთარი ძალების იმედი და იმის რწმენაც გვაქვს, რომ შევსძლებთ წარმატებით გავატაროთ უპარტიოთა მასაში ლენინის იდეები.

წ. არმ. გ. არაქელოვი.

## ქსენონი არ ასრულებს თავის მოვალეობას.

ქართულ მეთაურთა სკოლის ქსენონი არ დგას თავის სიმაღლეზე; ექიმი და ფერშლები ვერ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ქსენონში ძლიერ უსუფთაობა და ავადმყოფ კურსანტებისადმი გულგრილობაა გამეფებული. მათ არა აქვთ თავისდროზე წამალი და საჭირო მოვლა. ყველა ეს იწვევს ავადმყოფ კურსანტის ქსენონში დიდი ხნით დარჩენას და მის მოცდენას სწავლაზე. ქსენონში არც მედიკამენტებია საკმაო.



## მასწავლებელი მაინც უნდა გვყავდეს.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდის წერა-კითხვის მცირე მცოდნე არმიელებმა უკვე ჩააბარეს გამოცდები. საგამოცდო კომისიამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა მათი ცოდნა.

ერთ წლის განმავლობაში მათთან მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია. წითელ არმიელები თვითონ გრძნობენ ამას. ყველაფერი კარგი, მაგრამ გუნდიდან გამოცდების შემდეგ მასწავლებლის მოხსნა მაინც არ არის კარგი ნაბიჯი.

ამ ჟამად არმიელებთან სრულიად შეწყვეტილია მეცადინეობა, აღარავინ ყურადღებას არ აქცევს მათ. თუ ასე გაგრძელდა ცხადია ერთი წლის შრომა ტყუილად დაიკარგება.

წითელ არმიელებმა კედლის გაზეთშიდაც კი მოათავსეს ამის შესახებ წერილები და თხოულობენ მეცადინეობის გაგრძელებას.

დაუბრუნეთ გუნდს მასწავლებელი.

სამხკორი გ—შვილი.

## ან ერთი და ან მეორე.

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდი და ბატარეია კარგი მანძილით არიან დაცილებული ლეგიონიდან. ქსენონი არის მარტო ლეგიონში, რომლითაც ვსარგებლობთ აღნიშნული გუნდების წითელ-არმიელებიც, მაგრამ სარგებლობაც არის და სარგებლობაც. გუნდის ავადმყოფი არმიელები ან სრულიად ვერ ილიან ლეგიონის ქსენონში მისვლას და ან თუ მივიდენ, იმოდენა კუდები ხვდებათ, რომ შეუძლებელია მათი იქ გაჩერება.

საჭიროა ლეგიონის ქსენონმა გახსნას ჩვენს გუნდებში თავისი განყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გუნდებიდან მისული არმიელები რიგს გარეშე უნდა იქნენ დაშვებული ქსენონში.

იმედია დივიზიის ექიმი შესაფერი ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმეს.

წ. არმიელი ფრთხილი.

## ჩვენი საქმიანობა ცვალებად შემადგენლობათა შორის.

23 მარტს მე-2 ლეგიონში მოწვეულ იქნა ლეგიონის საკავშირო—მზვერავი და სამნეო გუნდზე მიწერილ, აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობის მორიგი საერთო კრება. დაგვესწრო შემადგენლობის საკმაო რიცხვი, დღის წესრიგში წამოყენებული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ტერ სისტემის შემოღება საბჭოთა რესპუბლიკებში და მისი პრაქტიკული მხარეები; და 2. კოლექტიური საქმიანობისათვის ცვალებად შემადგენლობასთან კავშირი.

პირველ საკითხის შესახებ დაწვრილებით იქნა განმარტებულ ტერ-სისტემის უპირატესობა და მისი მსვლელობა ჩვენში.

შემოვიდა მრავალი უმთავრესად პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები. დამაკმაყოფილებელი პასუხების მიღების შემდეგ, კრების მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: „გავეცანით რა ტერ-სისტემის უპირატესობას და მის მიზნებს კრება სავსებით იწონებს საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებს და სიტყვას იძლევა, რომ პირველ გამოძახილისთანავე წითელ ყაზარმებში მოსვლით გაორკეცებით გაიმსჭვალონ მტკიცე მხედრული სულით საბოლოვოო მიზნების მისაღწევათ.“

მეორე საკითხის შესახებ გაცნობილ იქნა ურთიერთშორის საერთო საქმიანობის გეგმა და აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად ორგანიზაციული კავშირის დაჭერის და დაახლოვების აუცილებლობა, რასაც კრება დიდის აღფრთოვანებით შეეგება და მოითხოვა ურთიერთის ყოფაცხოვრების გასაცნობათ ზემოაღნიშნულის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება.

ვ. ლორთქიფანიძე.

იმედია ჩვენი სკოლის მესვეურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ აღნიშნულ ნაკლს და მით ხელს შეუწყობენ ქსენონის დაყენების საქმეს თავის სიმაღლეზე.

სამხკორი ვაკელი.

## მეტი ყურადღება წერტებს.

მე 6-სე ლეგიონის სამნეო ნაწილში ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი ცვლილება მოხდა. სულ მცირე ხნის განმავლობაში ორი მნე გამოიცვალა და მესამედ როგორც იქნა გამოინახა სპეცი და თავისი საქმის მცოდნე ამხანაგი.

მან კარგად დააყენა საქმე თვით ლეგიონში და სამნეო ნაწილს აშკარად დააჩნდა მისი გამოცდილი ხელი, მხოლოთ ზოგიერთ წერტებზედ ჯერ კიდევ ვერ არის საქმე მოწესრიგებული, რასაც სასწრაფოდ უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თანამშრომლები ვერ არიან თავის ადგილზედ. ორი დღე დილიდან საღამოს 5—საათამდი მომიხდა ცდა, მაგრამ ასეულისათვის ერთი თვის სახარჯო ანგარიშები მაინც ვერ მივიღე და ეს იმ დროს, როდესაც ასეული წერტზედ ცუდ მდგომარეობაში იყო, შიმშილობდა.

განსაკუთრებით ძლიერ უწესრიგოთ იქცევა საქმის მწარმოებელი. თუ არ მოეწონა ვინმეს შეხედულება, ყურადღებას არ მიაქცევს.

ერთ ამხანაგს დეკემბრის საოჯახო ულუფა ჯერაც არ მიუღია, და წითელ არმიელებზედ ხომ ზედმეტია ლაპარაკი. საჭიროა ზოგიერთ ამხანაგების გაცოცხვა ჩვენი ნაწილებიდან.

დ. ჭანკვეტაძე.

## ჩვენი კავშირი ქალაქ ცაგერის ორგანიზაციებთან.

მე-5-თე ლეგიონის მესამე ასეულს მეტად რთულ პირობებში უხდება მუშაობა, რადგან მოწყვეტილია ლეგ. ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობას. ამან გვაიძულა უჯრედის სამოქმედო გეგმის შედგენის ედროს ხაზი გაგვესვა იმ გარემოებისთვის, რომ უჯრედს თავის ინიციატივით შეძლებოდა ქალაქის ყველა ორგანიზაციების საერთო კრების მოწვევა. ამ დადგენილებას კიდევაც ვატარებთ ცხოვრებაში. 17 მარტს მოწვეული იქნა ქალაქის ორგანიზაციების გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ 15 პარტიის წევრი, 16 კანდიდატი, 43 კომკავშირის წევრები და 94 უპარტიო ამხანაგები—სულ 128 კაცი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. დამხმარე საბჭოს არჩევა და მისი მნიშვნელობა. 2. საკავშირო ცაკის 3-მე სესიის მუშაობის შესახებ. 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჰოხონელიძემ, რის შემდეგ არჩეული იქნა შვიდი კაცისაგან შემდგარი დამხმარე საბჭო.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლეჩხუმის მაზრის პარტკომისიის მდივანმა ამხ. გ. ჭაბუკიანმა, რომელმაც ვრცლად გააშუქა ცაკის თბილისში მოწვევის მნიშვნელობა და მისი მუშაობა.

მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა.

აღსანიშნავია აქტიური მონაწილეობა, რომელსაც იჩენდენ წევრები ყველა საკითხების გარჩევის დროს.

ასეთი მუშაობით იმედი გვაქვს განვამტკიცებთ ერთმანეთთან დამოკიდებულებას. ეს კი საუკეთესო გარანტიაა ჩვენი გამარჯვების.

სამხკორი ყურაშვილი.

## ჩვენი შემოქმედებანი

„წითელი ჯაჭვი“ № 4 (ცალკე საკავშირო ასეულის კედლის გაზეთი).

ეს გაზეთი გამოვიდა პარიზის კომუნის 54 წლის თავის აღსანიშნავად. ფორმატი ჩვეულებრივია, გარეგნულად საერთოდ მიმზიდველია. მოწინავის თავში მოთავსებულია მშვენივრად შესრულებული სურათი პარიზის კომუნარების დახვრეტა. იმ მომენტიდან, რომელსაც თან მიყვება მოკლე და სხარტად დაწერილი მოწინავე კომუნის 54 წლის თავის შესახებ. გაზეთში მოთავსებული წერილების უმრავლესობა ეკუთვნის თვით წითელ-არმიელებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთში იუმორისტული განყოფილება. აქ ბევრი რამ საყურადღებო და მოსწრებული ანარეკლია მოცემული ასეულის ყოველდღიურ ცხოვრებიდან.

გაზეთში შემდეგი განყოფილება უჭირავს წერილებს რემედასის შესახებ. აქაც ის დამშვენებულია შესაფერი მხატვრობით, ბურჟუაზიულ საპყრობილეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან. წერილები აშუქებენ რემედასის მნიშვნელობას და იძლევიან ამ საზოგადოების საქმიანობის მოკლე ანგარიშს. გაზეთს ამშვენებს წითელ-არმიელების ლექსებიც და შემდეგ ჩვენი ფოსტა.

სარედაქციო კოლეგიამ შესძლო თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება. მუშაობაში ჩათრეულია წითელ-არმიელების უმრავლესობა და გაზეთში თანამშრომლობისადმი ინტერესი თანდათან იზრდება.

იმედია კოლეგია კიდევ უფრო შეეცდება გამოაკეთოს თავისი საქმიანობის ნაყოფიერება.

# მოაწესრიგეთ განათების საქმე.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის ყაზარმებში ამ ბოლო დროს ხშირად არ არ არის სინათლე. საღამოობით შეუძლებელი ხდება მეცადინეობა, ჟურნალ გაზეთების კითხვა და სხვა.

მართალია სადგურსაც მიუძღვის ამაში ბრალი, მაგრამ, ლეგიონის მნეც არა ნაკლები საყვედურის ღირსია.

ელექტრო სადგურზე შემაერთებელი ხაზები, თვით ყაზარმაში დაგლეჯილი და გაფუჭებულია. სადგურს თუ არ შეატყობინა მნემ და სათანადო ზომები არ მიიღო ამისთვის, ცხადია ასეთ მოვლენებს ყოველთვის ექნება ადგილი ლეგიონის ყაზარმებში. ამას გარდა საჭიროა სანათურების ჩამოკიდება ყველა საჭირო ადგილებზე.

მაგალითისათვის საკმარისია ჩვენი ლენინის კუთხე. იქ ერთი პატარა სანათურია მხოლოდ და მისი მკრთალი შუქი (თუ კი სინათლეს ვეღირსებით) ვერ აკმაყოფილებს კუთხეს. როდესაც მივმართეთ მნეს, ტკბილი სიტყ ით გამოგვისტუმრა ხვალ შევიძენ და მოგცემთო, მაგრამ მას აქეთ კარგა ხანია გავიდა. მნე კი სანათურებზე არც ფიქრობს.

ყველა ეს დეფექტები დაჩქარებით მოითხოვს გამოსწორებას. იმედია თავს შეიწუხებს ამისთვის ჩვენი მნე.

დ—შვილი.

# შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

### როგორ ვრცელდება ჭლექი.

ჭლექი შედის ცხოველის ტანში ფილტვებისა და კუჭის საშუალებით, როდესაც ეს უკანასკნელები დასუსტებული და მოშლილი არიან უწესო კვება შენახვით, წინასწარი ავადმყოფობით, ცუდათ მოწყობილი თავლა-ბოსლებით, ცუდი ჰაერით და სხვა.

ჭლექის გამავრცელებელ საშუალებათ ითვლებიან ავადმყოფი ცხოველების რძე, განავალი, შარდი, სქესობრივი თესლი, ბალღამი, კანის დაზიანებულ ადგილზე ჭლექის ბაცილების მოხვედრა და ჭლექიანი ცხოველებისა და ჯანმრთელი ცხოველების ერთად ყოფნა, როდესაც ეს უკუნასკნელები პირველების მიერ ჰაერში გავრცელებულ ჭლექის ბაცილებს სუნთქავენ და საკვებთან ერთად ჰყლაპავენ.

ჭლექი შეიძლება იყოს **შთამომავლობით**, როდესაც იგი დედ-მამიდან შვილებზე გადადის თესლის საშუალებით და **შეძენილი**, როდესაც ცხოველს თუ ადამიანს ჰაერისა და საჭმელ-საკვების საშუალებით ემართება იგი.

**ანატომიური სურათი ჭლექისა.**

ჭლექიანი საქონლის ლეშის გაჭრის დროს ფილტვებში ვხვდებით ხან პატარ-პატარა და ხან გვარიანად მოზრდილ კვანძებს ანუ ხორკლებს, რომლებშიდაც იმყოფებიან ჭლექის ბაცილები.

ეს კვანძები ზოგიერთ შემთხვევებში ერთდებიან და ყვითელ ფხვნიან და ჩირქ-თხაპნიან ნივთიერებით სავსე ღრუდ იქცევიან; სასუნთქავ მილების ანუ ბრონხებისა და ფარბადის ანუ ფარფუშას ჯირკვლები გადიდებული არიან, პლევრა ანუ ფერდის აპკი მიზდილია ფილტვებზე; ბადექონზე, ფარბადზე, ღვიძლზე და ელენთაზე ცალ-ცალკედ ან მტევნებისებურად დაწყობილ-დალაგებული არიან პატარ-პატარა კვანძები და ნაწლევების მილში იარები გადმობრუნებული მაგარი კიდეებით. ასეთივე კვანძებია ტვინის აპკზე, ჯიქანზე, ხრტილებზე, ძვლებზე, სახსრებსა და კუნთებზე.

**როგორ დი რა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ ჭლექს.**

ცხოველების ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა ექიმობის საშუალებით ტეხნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია და ამიტომ არსად და არასოდეს მას არ მიმართავენ.

საქონლის ჭლექთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ჭლექიანი ცხოველების ჯანმთრელ ცხოველებისაგან თავის დროზე გამოცალკევებით (იზოლიაციით); სანამ ცხოველს ჭლექი მთელს ტანში მოედებოდეს მისი თავის დროზე დაკვლით და ბოლოს დეზინფექციის ანუ გაუვნებლობის საშვალებით.

გამოცალკევება ანუ იზოლიაცია მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ის საქონელი, რომელსაც ზევით ჩამოთვლილი ჭლექის დამახასიათებელი ნიშნები ექნება, გამოცალკევებული იქნეს ჯანმრთელი საქონლისაგან და უსათუოდ ვეტექიმის მიერ გასინჯული ერთნაირი სითხის, **ტუბერკულინის**, შეშხაპუნებით თუ ცხოველი ჭლექიანია **ტუბერკულინის** შეშხაპუნების შემდეგ ერთი დღე და ღამის განმავლობაში სიცხე ცხოველს 40 გრადუსამდის აუდის, თუ არა—სიცხე ნორმას არ ასცილდება.

ის საქონელი, რომელსაც ჭლექი აღმოაჩნდება, უსათუოდ უნდა სასაკლაოზე დასაკლავად გაიგზავნოს, ხოლო მისი და ჯანმრთელად აღმოჩენილი საქონლის ნადგომი თავლა-ბოსლები, კი ერთი ნაწილი ქლორიანი კირისა და 50 ნაწილი წყლისაგან, ან ხუთი ნაწილი კარბოლის სიმჟავისა და 100 ნაწილი წყლისაგან მომზადებული ხსნარებით სასტიკ დეზინფექციის ქვეშ გატარდეს.

ამ წესით ვამოცალკევება—დეზინფექციის საშვალებით უნდა ვიმუშაოთ იმ დრომდის, სანამ ყველა ჭლექიან საქონელს არ გამოვაცალკევებთ ჯანმრთელ საქონლისაგან.

ჭლექის გავრცელების მხრივ არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს აგრეთვე ჭლექიანი ძროხის რძით ხბოს კვება და ამიტომ ყოველთვის უნდა თავის დროზე მივიღოთ შესაფერი ზომები ვეტექიმისადმი მიმართვის სახით, ძროხის ჯანმრთელობის გამოსაკვლევად.

**ადამიანის ჭლექი.**

რადგან ჭლექს, როგორც ცხოველებში, ისე ადამიანში ერთი და იგივე **კოხის** მიერ აღმოჩენილი ბაცილი იწვევს, აქედან ნათელია, რომ, თუ ფრთხილად არ მოვიქცევით, შესაძლებელი იქნება ცხოველებს ჩვენ დავმართოდ ჭლექი და ცხოველებმა კი ჩვენ.

ადამიანს ჭლექი ემართება ცხოველებისაგან უმეტეს ნაწილად **ხორცისა** და **რძის** საშვალებით და იმიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელებზე განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მეცნიერებს. არ შეიძლება ჭლექიან ძროხის არც რძის დალევა, მით მოუდუღარის, და არც ასეთი რძისაგან მომზადებული კარაქის, ყველის მაწონის და სხვა ამგვარი ნაწარმოებების ჭამა.

თუ ცხოველს მხოლოდ ამა თუ იმ ორგანოს ჭლექი აქვს, მისი ხორცის ჭამა ამ ორგანოს გამოკლებით შესაძლებელია, ხოლო თუ ჭლექი მთელს ორგანიზმში აქვს მოდებული ცხოველს, იმ შემთხვევაში მისი ხორცის ჭამა არა შეიძლება და ასეთი ხორცი უსათუოდ უნდა მოსპობილ იქნეს ან დაწვის და ან მიწაში ღრმად დამარხვის საშვალებით.

ვეტექიმი **ფარეიშვილი.**

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომის დადგენილება.**

სიღნაღის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა გაუწიოს თაოსნობა მაზრაში თესვის კამპანიის ჩატარებას და გაუწიოს დახმარება საზოგადოებრივი შრომით ღარიბებს.

**ლენინის პატივისცემა გლეხობაში.**

სოფ. ლიკანის გლეხებმა (გორის მაზრა) იშუამდგომლეს, რომ მათ სოფელს ამხ. ლენინის პატივისცემის ნიშნათ ეწოდოს ლენინის უბანი.

**კოოპერაციის გაძლიერება.**

ბორჩალოს აღმასკომმა გადასცა კოოპერატივ „კარდაშლიხს“ ორი წლით წყლის წისქვილი.

**სკოლის ასაშენებლათ.**

ონში აირჩიეს საამშენებლო კომისია ადგილობრივ ცხრა წლედის შენობის ასაშენებლათ.

**საბჭოთა აღმშენებლობისათვის.**

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს სპეციალური ლიტერატურა საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

**გლეხკომის ფურნე.**

სოფ. კულაში (ქუთ. მაზრა) სათემო გლეხკომმა გადასწყვიტა გააფართოოს ადგილობრივი ფურნის მოქმედება.

**სოფლის შუამდგომლობა.**

სოფ. ბრძენის (გორ. მაზრა) მცხოვრებლებმა აღძრეს კოლექტიური შუამდგომლობა ევლევის მაგიერ საცხურის თემზე მიწერის შესახებ.

# სამხედრო ტრიბუნალი

### კიდევ დეზერტირობა.

27 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ქართულ ცხენოსან ლეგიონის წ. მ. ვასილი პარმანის-ძის შონიას საქმე, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: ლეგ. ნაწილში გადაგზავნამდე ბრალდებული შონია გაქცეულა შესაკრებ პუნქტიდან წ. წ. 5 ნოემბერს და დაუყვია 2 თვე თავის სახლში, რომლის შემდეგ ა. წ. 7 იანვარს ყოფილა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით და 5 მან. ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია.

მხოლოდ თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის ა. წ. 16 მარტის № 13 ამნისტიის სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით, შეუმცირდა ნახევრად.

**დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა**

ამავე დღეს ტრიბუნალმა განიხილა 1-ლი ქართულ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის წ. არ. ივანე სოსიას-ძე ქონენაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვა. წ. მ. ქონენაშვილი გაქცეულა ნაწილიდან 27 ნოემბერს და დაუყვია ნაწილის გარეშე ორი თვე, ა. წ. 27 იანვარს ყოფილა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში. გაქცევისას ბრალდებულს თან წაუღია მასზე სახმარათ გაცემული სახაზინო ნივთები, რომლისგანაც მას დაბრუნებისას არ აღმოაჩნდა ერთი ცალი მაზარა, რაც მას გაუფლანგავს გამსახლში ყოფნის დროს. ტრიბუნალმა მიუსაჯა მას სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით 6 თვის ვადით და 5 მანეთის ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია.

თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის № 13 ამნისტიისა ა. წ. 16 მარტიდან, აღნიშნული სასჯელი შეუმცირდა ნახევრად.

გნია.

# ახალი ამბები.

— **ცეცხლის მქრობელი** რაზმის საჭიროებისათვის ტფ. აღმასკომმა საზღვარ გარედ შეიძინა ორი ავტომობილი კიბეებით და სხვა მოწყობილობებით.

— **ვერის დაღმართთან**, ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმს განზრახული აქვს გახსნას თავისი განყოფილება.

— **მანქანების შეძენა.** შრომის სახ. კომისარიატმა იშუამდგომლა უმაღ. ეკ. საბჭოში ახლათ გასახსნელ საქსოვ ქარხნისათვის მანქანების შეძენის შესახებ.

— **სასოფლო სამეურნეო იარაღების** შესაკეთებლათ, მიწ. მოქმ. კომისარიატმა მუშტაიდში გახსნა სახელოსნო.

— **ჯანსახკომთა თათბირი.** ტფილისში 15 აპრილისათვის მოწვეულია ა. კ. რესპუბლიკათა და ავტ. ერთეულთა ჯანსახკომების თათბირი.

— **დაზღვეულ ავათმყოფთათვის** სანიტ. „აბასთუმანში“ სოც. დაზღვევის სამმართველომ აიღო 150 საწოლი.

— **სახალხო მეურნეობის მიმოხილვა.** ა. კ. სახელ. საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა გამოსცეს ცალკე წიგნათ „სახ. მეურნ. მიმოხილვა ამიერ-კავკასიაში“.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის** შეტანის დაგვიანების გამო, ა. კ. საგეგმო კომისიამ დაადგინა არ გადახდევინოს ჯარიმები და შეტანის ვადა გააგრძელოს 1-ლ აპრილამდე.

## ხელოვნება.

— **წითელ არმიელთათვის.** ორშაბათს, ხვალ წითელ არმიელთა ცენტ. კლუბში გაიმართება სანიტ-განათლების წარმოდგენა წითელ-არმიელთა და პროფკავშირის წევრთათვის.

— **ველიკოროსული კონცერტი.** დღეს წითელ-არმიელთა კლუბის შენობაში (თეატრი „ტარდი“) გაიმართება ველიკოროსული სიმღერების ერთად-ერთი საღამო.

— **სარაჯიშვილის ხსოვნის** საღ მო. ხვალ 30 მარტს ოპერის თეატრში გაიმართება სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო ახალგაზრდა მომღერალთა მონაწილეობით.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### თხელ ატმოსფერაში ფრენა.

საავიაციო ტეხნიკის უდიდეს მიღწევათა შორის უნდა ჩაითვალოს ერთი დიდი მიღწევაც. ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა რეკორდის აღება დიდ სიმაღლეზე გაფრენით.

ჯერ კიდევ 1920 წელში ამერიკელ მფრინავმა—შრედერიმ სპეციალურად დამზადებულ ჰაეროპლანით მიაღწია 10,000 მეტრის სიმაღლეს. 1924 წლის ნოემბერში ფრანგმა კალიზომ 300 ცხენის ძალის მოტორიანი მონოპლანით მიაღწია 12,066 მეტრის სიმაღლეს, სადაც ჰაერის დაწოლა ნაკლებია ერთი მეოთხედით დედამიწის ზედაპირზე არსებულ ჰაერის დაწოლასთან შედარებით. ტემპერატურა უდრის 500 ცელსიისას ნულს ქვევით.

ასეთ სიმაღლეზე წარმატებით გაფრენის ჩატარება დამოკიდებულია ორი პირობისაგან: მანქანის მოტორის სიძლიერესა და მფრინავის სიცოცხლეზე.

მატორის—მამოძრავებელის ძალა პირდაპირ დამოკიდებულია ჰაერის დაწოლასა და სიმკვრივეზე, ამიტომ რაც უფრო მაღლა მიდის ჰაეროპლანი, მით უფრო კლებულობს მამოძრავებლის ძალა, რადგან ზევით ჰაერი თხელდება და დაწოლაც ნაკლები არის.

მაგ. 6000 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ჰაერის დაწოლა უდრის ნახევარ ატმოსფერას, 400 ცხენის ძალიან მამოძრავებელ ანვითარებას თავისი ძალის ნახევარს. ე. ი. იძლევა 200 ცხენის ძალას.

ძალის ასე შემცირება თავის მხრივ იწვევს ჰაეროპლანის ფრენის სიჩქარის შენელებას, რომ ეს ასე არ მოხდეს ჰაეროპლანზე აწყობენ განსაკუთრებული ხასიათის აპარატს, რომელიც ნაწილობრივად ინახავს მამოძრავებლის სიძლიერეს.

ამ საშვალების მოხმარების დროსაც შეუძლებელია 8.000 მეტრის მეტზე მაღლა ასვლა.

საუკეთესო საშვალებაა ერთი. ჰაეროპლანის კარბურატორში ერთ ატმოსფერამდე შეკუმშულ ჰაერის მომწყვდევა, რომელიც უკვე გათხელებულს ატმოსფერაში ასვლის დროს ხმარდება მოტორს.

**როგორ ინახება მფრინავის სიცოცხლე გათხელებულ ჰაერში.**

გამოირკვა, რომ ადამიანის ორგანიზმი უფრო ადვილად იტანს და ეგუება გათხელებულ ჰაერს. ერთმა ფრანგმა ფრინავმა მოახდინა შემდეგი ცდა თავის თავზე: დახურულ კამერიდან გამოქაჩული იქნა ჰაერის ნაწილი, და შიგ დასტოვა ჰაერის ის რაოდენობა, რომელიც შეეფერება 15.000 მეტრის სიმაღლის ატმოსფერას. ადამიანის ორგანიზმი უმთავრესად ვერ იტანს ჰაერში ჟანგბადის შემოკლებას და სუსხს.

ამისთვის მფრინავებს თან მიაქვთ ნიღაბით ჟანგბადი და განსაკუთრებული ელექტრო სითბოს გამომშვები ტანსაცმელი.

მფრინავი შრედერი ამბობს, რომ 10, 500 მეტრს სიმაღლეზე მან მოიხსნა ნიღაბი, ინგულიატორის გასათბობათ.

შემდეგ ძირს დაშვებისას მას გაეყინა თვალები და დაბრმავდა. მფრინავი შემთხვევით გადარჩა ცოცხალი, მოსწრებულ ადგილზე დაშვების გამო.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

„ნ „დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.